ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

ბრძანება:**№37. 3726286001**

თარიღი:**13/10/2026**

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების მიერ წელიწადში ერთხელ ამომრჩევლებისთვის ანგარიშის წარდგენის გრაფიკის დამტკიცების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2025 წლის 22 დეკემბრის №37. 3725356001 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონი ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ პუნქტის, საქართველოს კანონის ,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 63-ე მუხლის და „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 ნოემბრის N1 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 131-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. შეტანილი იქნას ცვლილება ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების მიერ წელიწადში ერთხელ ამომრჩევლებისთვის ანგარიშის წარდგენის გრაფიკის დამტკიცების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2025 წლის 22 დეკემბრის №37. 3725356001 ბრძანებაში და ბრძანებით დამტკიცებული დანართი ,,ოზურგეთის მუნიციპალტეტის საკრებულოს წევრების მიერ ამომრჩევლებთისათვის 2025 წლის 1 ნოემბრიდან 2026 წლის 1 ნოემბრამდე გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშის წარდგენის გრაფიკი“ ჩამოყალიბდეს ახალი ფორმით (დანართი თან ერთვის).

2. ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეს (ტარიელ აროშიძე).

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში გაცნობიდან ერთი თვის ვადაში (მის: ქ. ოზურგეთი სიორიძის ქ.#14).

4. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

დავით დარჩია

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი